პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 132
(6693)

1980 წ.
9 ივლისი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете
Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

მოსკოვის
ოლიმპიური
თამაშების
დაწყებამდე
დარჩა 11 დღე

□

ჩირაღდანი მოსკოვისკენ მიეშურება

უკვე 20 დღეა ოლიმპიაში ანთებული ჩირაღდანი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქისკენ მიეშურება. გუშინწინ მან დატოვა მოლდავეთის ტერიტორია და უკრაინაში გადაინაცვლა — ნოვოსელიცის რაიონის სოფელ მამალიგას მიდამოებში. უკრაინისა და მოლდავეთის მოძმე რესპუბლიკების საზღვარზე ამ ზეიმის აღსანიშნავად გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეთ სიტყვებით მიმართეს ოლიმპიადა 80-ის უკრაინის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ამ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ესიპენკომ და მოლდავეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ გ. ერემეიმ, რის შემდეგ „წმინდა ცეცხლმა“ უკრაინის მიწაზე დაიწყო სვლა, მოძმე მოლდაველები მას აცილებდნენ შეძახილებითა და ნაირფერი ტრანსპარანტებით, რომლებსაც ამშვენებდა წარწერა: „გზა მშვიდობისა, ოლიმპიურო ცეცხლო“.

ოლიმპიური ჩირაღდანი უკრაინის გზებზე 1147 კილომეტრს გაივლის. ჩერნოვიცკის ოლქის შემდეგ მისი გზა პოდოლის მიწაზეა, მორიგ ღამეს კი იგი კამენეც-პოდოლსკში გაათევს. ოლიმპიური ცეცხლის მისაღებად ყველაფერი მზადაა ვინიცაში, საიდანაც ჩირაღდანი ჩრდილოეთით, ჟიტომირისკენ გაეშურება და აქედან ჩავა კიევში. უკრაინის დედაქალაქის ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე გამართული ზეიმის შემდეგ ჩირაღდანი კრეშჩატიკზე გაივლის, გადალახავს დნეპრს და პოლტავაში, ძველ რუსულ ქალაქში ჩავა. 14 ივლისს ესტაფეტას საზეიმოდ მიიღებენ რსფსრ-ს სპორტსმენები.

ყველგან, ყველა ეტაპზე, რომელიც ოლიმპიური ცეცხლის გზაზეა, ესტაფეტაში აქტიურად მონაწილეობენ სპორტისა და შრომის მოწინავე ადამიანები. მაგალითად, მოლდავეთში ერთ-ერთ ბოლო ეტაპზე ჩირაღდანი მოჰქონდა ვიმკანსკის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს ნ. პისარს, რომლის ბრიგადის წევრები არა მარტო რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიც სოფლის მეურნეობის საუკეთესო სპეციალისტებად ითვლებიან. მათ შრომასთან ერთად გატაცებით უყვართ სპორტი და სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ მათ ბრიგადირს წილად ხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიეღო ესტაფეტაში.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

7 ივლისს მოსკოვში გაიმართა ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განხილული იქნა XXII ოლიმპიური თამაშების ოლიმპიური ქარტიის წესებთან სრულ შესაბამისობაში, მაღალ სპორტულ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ დონეზე ჩატარების უზრუნველყოფის საკითხი.

ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ნოვიკოვის მოხსენებაში, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ინფორმაციებში აღინიშნა, რომ უდიდესი სამუშაოებია შესრულებული მოსკოვში, ტალინში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში ოლიმპიური თამაშების ჩატარებისთვის, რის შედეგად ყველა ოლიმპიური ობიექტი მზადაა სპორტსმენთა, ჟურნალისტთა, სოკ-ისა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციათა წევრებისა და ტურისტების მისაღებად, ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების ინტერესებისთვის სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად. (საქდესი).

ველოსიპედით — თამაშების დედაქალაქში

„ოლიმპიადა“, „მშვიდობა“, „მეგობრობა“ — ამ სიტყვებით დაამთავრეს 5 ივლისს ახალგაზრდა შოტლანდიელმა კომუნისტმა ძმებმა თავიანთი 65-დღიანი ველოგადარბენა ოლიმპიადა-80-ის დედაქალაქში. ფინიშის შემდეგ მათ სპიდომეტრებზე, რომელიც 1 მაისს ჩაირთო, 4111 კმ და 440 მეტრი აღინიშნა. ასეთი მანძილი აშორებს მათ ახლა მშობლიურ კლაიდბენკამდე, რომელიც გლაზგოს მახლობლად მდებარეობს.

„ტეტჩერის მთავრობის ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელიც ცდილობდა ჩაეშალა ეს გადარბენა, ჩვენ პროტესტი განვუცხადეთ ამ ანტიოლიმპიურ პოლიტიკას და ჩამოვედით სტუმართმოყვარე მოსკოვში“, — განაცხადა ფინიშზე უფროსმა ძმამ 24 წლის ა. სკალიონმა, რომელიც წელიწადნახევრის წინ თავისი პოლიტიკური მრწამსისთვის სამუშაოდან დათხოვნილი იქნა.

„ჩვენ დიდ მადლობას ვუხდით ბელგიისა, გფრ-ის, გდრ-ის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, რომლებმაც დიდი დახმარება და მხარდაჭერა აღმოგვიჩინეს.“ — თქვა უმცროსმა რეჯიმ.

ოლიმპიურ ტალღაზე

ორი არხით

პორტუგალიელ სპორტის მოყვარულებს ყოველდღიურად შესაძლებლობა ექნებათ იხილონ მოსკოვის ოლიმპიადის ორთაბრძოლები. საბჭოების დედაქალაქიდან გამოყოფილია ორი არხი ეროვნული ტელევიზიისათვის. თამაშების დღეებში ტრანსლაციის ხანგრძლივობა 80 საათს გასტანს, აქედან თექვსმეტი საათი უმთავრესი — პირველი არხით გადაიცემა.

„ლელოს“ ინტერვიუ

11 დღით ადრე...

მოუთმენლად ელის მთელი მსოფლიო დიდი სპორტული ფორუმის — XXII ოლიმპიური თამაშების დაწყებას.

ახლა, დროის ამ დარჩენილ მონაკვეთში პლანეტის უძლიერესი ათლეტები უკანასკნელად ამოწმებენ ძალებს, საბოლოოდ ხვეწენ ცალკეულ ილეთებს, სპორტული ფორმის კულმინაციისკენ მიისწრაფვიან.

საბჭოთა ნაკრები გუნდების შემადგენლობებში ოლიმპიადის სტარტებისათვის ენერგიულად ემზადებიან საქართველოს სპორტსმენებიც.

— მაინც ვინ არიან ისინი, მოსკოვის ოლიმპიადის სავარაუდო მონაწილენი?

ასეთი კითხვით მიმართა „ლელოს“ კორესპონდენტმა **ო. ნოზაძემ** საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს **დ. პერტენავას.**

— გახსოვთ, ალბათ, რომ XXII ოლიმპიადისთვის უშუალო მზადებას წლეულს ჩვენი რესპუბლიკის 100-მდე სპორტსმენი შეუდგა. შემდეგ, ბუნებრივია, კანდიდატთა რიგები შემჭიდროვდა. ოლიმპიადამდე ერთი თვით ადრე უკვე საქართველოს 30 ათლეტს ჰქონდა დედაქალაქში გამოსვლის შანსი, ახლა კი დაახლოებით 25 სპორტსმენი იბრძვის ჩვენი ქვეყნის სპორტული პრესტიჟის დაცვის უფლების მოპოვებისთვის. სხვათაშორის, ამგვარ, დასკვნით ეტაპზე ოლიმპიურ კანდიდატთა ასეთი დიდი რაოდენობა ჩვენს რესპუბლიკას ადრე არასდროს ჰყოლია.

მაინც ვისა აქვს ამ მხრივ ყველაზე დიდი შანსი?

დავიწყოთ ქალებით.

ლ. ცოტაძე (წყალში ხტომა). წლეულს მან სძლია ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებს ე. ვაიცეხოვსკაიასა და ი. კალინინას, ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა და ამჟამადაც მშვენიერ სპორტულ ფორმაშია. მწვრთნელები ვარაუდობენ ოლიმპიადაზე მის გამოყვანას 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში.

ი. გერასიმოვა (ცურვა). ამ 15 წლის გოგონამ უკანასკნელ დროს ცურვის სპეციალისტები (მათ შორის საზღვარგარეთელიც) განაცვიფრა მაღალი შედეგებით 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით, აგრეთვე კომპლექსურ ცურვაში. ოლიმპიადაზე გერასიმოვა მონაწილეობას მიიღებს თავისუფალი სტილით ამანათცურვაშიც 4X100 მეტრზე.

ქ. ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა) საკმაოდ კარგ სპორტულ ფორმაშია. სულ ახლახან პოლონეთში გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მან მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენების ო. როგოვასა და ნ. ბუტუზოვას შემდეგ.

ს. გუნბა (მძლეოსნობა, შუბის ტყორცნა). სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის და ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა ორიოდე დღის წინ ბრწყინვალედ იასპარეზა მოსკოვში ძმები ზნამენსკების საერთაშორისო მემორიალზე, სადაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 68 მეტრი და 28 სანტიმეტრი.

ახლა კი ვაჟებზე ვისაუბროთ.

ვ. სანეევი (მძლეოსნობა, სამმაგი ხტომა). სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მიუხედავად ერთობ წარუმატებელი სეზონისა, იმედოვნებს, რომ მეოთხე ოლიმპიადაზეც წარმატებით იასპარეზებს.

დ. კვაჭაძე (კრივი). სასიხარულოა, რომ იგი კვლავ დაუბრუნდა დიდ სპორტს. მწვრთნელებს სჯერათ ევროპის ჩემპიონისა, რომელიც მაისში როსტოვის რინგზე მესამედ გახდა სსრ კავშირის პირველი ხელთათმანი ქვემძიმე წონაში.

ნ. დერიუგინი (კალათბურთი) ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი საიმედო მოთამაშეა, ამასთან ახალგაზრდაც. გვჯერა, რომ ოლიმპიურ მოსკოვში ვიხილავთ მას.

ვ. ისელიძე (წყალბურთი) კარგად გამოვიდა უკანასკნელ ხანს გამართულ შეჯიბრებებში — საკავშირო ჩემპიონატსა და თბილისის საერთაშორისო ტურნირში. სულ ახლახან კი მოსკოვის ოლიმპიურ აუზში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაშიც.

ა. ანპილოგოვი (ხელბურთი). ოლიმპიური ჩემპიონი დღესაც სრულ საბრძოლო ფორმაშია და მოსკოვის ასპარეზობის უეჭველ მონაწილედ ითვლება.

ა. ტაბიძე (ხელბურთი). შანსები აქვს მოხვდეს ოლიმპიურ ნაკრებში ჩვენი რესპუბლიკის ამ მეორე წარმომადგენელსაც.

თ. იმნაიშვილი (სასტენდო სროლა) კარგად გამოვიდა მოსკოვში ამას წინათ გამართულ საკავშირო ჩემპიონატზეც და წლევანდელ სეზონში გამართულ სხვა ასპარეზობებშიც.

პ. ჩევარდოვი (ველოტრეკი) ერთ-ერთი ნიჭიერი, მზარდი სპორტსმენია და ენერგიულად იბრძვის ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრისათვის.

გ. ბიგანიშვილი (აფროსნობა) ტალინის რეგატაში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან ვალენტინ მანკინთან ერთად აპირებს გამოსვლას „ვარსკვლავის“ კლასში.

ვ. ბლაგიძეს (კლასიკური ჭიდაობა) მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს კარგი შანსები აქვს წარმატებით გამოვიდეს მოსკოვის ოლიმპიადაზეც.

თ. ხუბულური (ძიუდო). მსოფლიოს ჩემპიონისათვის მოსკოვის ტატამი, ვიმედოვნებ, ისეთივე ბედნიერი იქნება, როგორც პარიზისა, კუბერტენის სახელობის სპორტის სასახლეში.

ოლიმპიადაში მონაწილეობის კანდიდატები არიან აგრეთვე **მოჭიდავეები თ. ნამგალაური, შ. ხაბარელი, თ. აფხაზავა, გ. მაკასარაშვილი, რ. ხარშილაძე, ნ. ბაბიაშვილი.** ბოლო დროს თავი გამოიჩინა იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა თ. **ყაზარაშვილმაც**, რომელმაც ყველა თავისი კონკურენტი დაამარცხა. რაც შეეხება ჩვენს სახელოვან **ლ. თედიაშვილს**, მას, რომ იტყვიან, ჯერ კიდევ არ დაუყრია ფარ-ხმალი. დარწმუნებული ვარ, რომ იგი დღესაც უძლიერესია თავის წონაში, მაგრამ საკავშირო პირველობაზე, პირდაპირ უნდა ითქვას, მას მსაჯები არაკეთილსინდისიერად მოექცნენ. სამწუხაროდ, ვიწროსაუწყებო პრინციპები ჯერ კიდევ შეიმჩნევა ჩვენს სპორტში, რაც საგრძნობლად აფერხებს მის წინსვლას.

● **ფეხბურთელთა ოლიმპიურ ნაკრებში მიწვეული იყო 5 თბილისელი დინამოელი — ა. ჩივაძე, თ. სულაქველიძე, რ. ჩელებაძე, რ. შენგელია და ვ. დარასელია. დღეისათვის მხოლოდ ორია — ჩივაძე და სულაქველიძე...**

— დიახ, დღეს ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდში მხოლოდ ორი თბილისელი ფეხბურთელია. ცხადია, მეტი უნდა ყოფილიყო — ჩვენი ფეხბურთელები ხომ არაფრით ჩამოუვარდებიან ნაკრების სხვა კანდიდატებს. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ მოსკოვში 27 ივნისს გამართულ მწვრთნელთა საბჭოს (სადაც საბოლოოდ წყდებოდა ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა საკითხი) გაურკვეველი მიზეზის გამო არ დაესწრო თბილისის „დინამოს“ გუნდის არც ერთი ხელმძღვანელი. ცხადია, ამ უპრეცედენტო ფაქტს არავითარი გამართლება არა აქვს.

● **მოსკოვის ოლიმპიადაზე თქვენ საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ხართ დამტკიცებული სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსთან ვ. კოლოსკოვთან ერთად. რა შედის თქვენს ფუნქციებში?**

— საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრების მომზადებისა და ოლიმპიადაში მის გამოსვლასთან დაკავშირებული ყველა საკითხი — დაწყებული გუნდის აღჭურვილობით, დამთავრებული მისი ვარჯიშით. ერთი სიტყვით, პრაქტიკულად ყველა ოპერატიული საკითხის გადაწყვეტა გვევალება. მინდა ვიფიქრო, რომ საბჭოთა ნაკრები მოსკოვის ოლიმპიადაზე გაიმეორებს მელბურნის თამაშების თითქმის მეოთხედი საუკუნის წინანდელ ტრიუმფს.

● **ხომ არ გვეტყოდით თქვენს პროგნოზს — XXII ოლიმპიურ თამაშებზე რამდენ ჩემპიონს უნდა ველოდეთ საქართველოდან?**

— ამაზე ახლა უმჯობესია თავი შევიკავოთ. გეტყვით მხოლოდ, რომ საკავშირო სპორტკომიტეტმა ჩვენს რესპუბლიკას დაუგეგმა ოლიმპიადაზე 2 ოქროს მედლის მოპოვება და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 38 ქულის მოგროვება. იმედი გვაქვს, გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ!



სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენის მთავარი შესასვლელის წინ მოედნის არქიტექტურულ ანსამბლს ჰარმონიულად შეერწყა ბრწყინვალე სასტუმრო „კოსმოსი“. საბჭოთა და ფრანგი არქიტექტორების ერთობლივი პროექტით აგებული ეს 28-სართულიანი ოტელი ოლიმპიადის სტუმრებს ელის.

საქდესის ფოტო.

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად

აღორძინების გზაზე

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მრავალათასიან კოლექტივს შესანიშნავი ფიზკულტურული ორგანიზაცია ჰქონდა. მისი წარმატებები თანდათან გაცილდა ქალაქის, რესპუბლიკის ფარგლებს. სპორტულ და მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში მიღწევებისთვის ამ ათიოდე წლის წინ ფიზკულტურულ კოლექტივს სპორტული კლუბის წოდება მიენიჭა და სახელიც შესანიშნავი უწოდეს — „ივერია“.

მაგრამ მერე, როცა საწარმოს რეკონსტრუქცია დაიწყო, ველარ შეძლეს კვლავ უნარიანად გაძღოლოდნენ ფიზკულტურულ მუშაობას და ივერიელთა მაჩვენებლებიც თანდათან გაუფერულდა.

კომბინატის რეკონსტრუქცია დასასრულს უახლოვდება. ამ სამუშაოების დამთავრების (ეს წლის დამლევისთვისაა გათვალისწინებული) შემდეგ საწარმოს მთლიანი პროდუქციის გამოშვება წელიწადში 200 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრის მიზნით კოლექტივმა გაზრდილი ვალდებულებები აიღო.

არც ფიზკულტურასა და სპორტზე ზრუნვა დავიწყებიათ: სპორტკლუბ „ივერიას“ პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე საწარმოს პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა კლუბის გამგეობასთან ერთად მიიღეს დადგენილება, რომელიც „ივერიაში“ მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნის გეგმებს სახავს.

ერთობლივ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამა წლის 1 ნოემბრამდე საზოგადოება „განთიადის“ წევრთა რიცხვს 1750, ხოლო ფიზკულტურელთა რაოდენობას 1650-კაცამდე გაზრდიან. ამავე დროისთვის გადაჭარბებით შეასრულებენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების, შშთ კომპლექსის ნიშნოსნების მომზადების დავალებებს. ამას მიაღწევენ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობითა და სპორტის ექვს სახეობაში შიდასაკოლექტივო სპარტაკიადის ჩატარებით.

საწარმოში ფართოდ დაინერგა მშრომელთა გაჯანსაღების ისეთი ფორმები, როგორიცაა საწარმოო ტანვარჯიში და მასობრივი ტურიზმი. თანამშრომელთა შორის სპორტის პოპულარიზაციის მიზნით საწარმოს საერთო საცხოვრებლის მუშა-მოსამსახურეთა შორის გამართავენ ტურნირებს ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, შშთ კომპლექსის მრავალჭიდში; სისტემატურად ჩაატარებენ სპორტულ ღონისძიებებს საშეფო ორგანიზაციებთან...

ნ. ნადირაძე.

მეხუთე. შრომითი სემესტრი

მონდომებამ შედეგი გამოიღო

დასასრულს უახლოვდება უფროსკლასელთა შრომითი მეხუთე სემესტრი.

თბილისის 48-ე საშუალო სკოლის შრომითი რაზმი „არგო“ 10^3 კლასის მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული. ისინი „შრომით გამოცდას“ კავთისხევის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში აბარებენ.

„ჩემი შრომა ერწყმის ჩემი რესპუბლიკის შრომას“ — ამ დევიზით იღწვის 27 მოსწავლე და თითოეული მათგანი ცდილობს რაც შეიძლება უკეთესად იშრომოს. მათმა მონდომებამ კარგი შედეგიც გამოიღო — ექვსი ჰექტარი ლობიოს ნათესი გათოხნეს. მუშაობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან: დები დარეჯან და ლელა იუკურიძეები, ლ. სამქანაშვილი, ი. კოკოევა, ჯ. ურიგაევი, ხ. ჩიკვილაძე, ნ. ჯმუხაძე, დები ციური და ლია ქოჩორაშვილები.

მუყაით შრომას კარგი დასვენება ესაჭიროება. მოსწავლეებს საამისო პირობებიც გააჩნიათ. ერთმანეთს ეჯიბრებიან ჭადრაკში, შაშში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში და ბადმინტონში. მოეწყო ექსკურსიები ქვათახევში, ლავრის მონასტერში, ნოსტეში, ერთაწმინდაში. შეაგროვეს მასალები სოფელ თელადგორის შრომისა და ომის ვეტერანების შესახებ.

კ. სალუქვაძე.

სურათებზე: „არგოს“ შრომისა და დასვენების მომენტები.

ავტორის ფოტოები.

„ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა“

ფანდის ძალა

ჭიდაობა საქართველოში ძველთაგან ითვლებოდა სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობად. ქართველი კაცი ბალღობიდან ეუფლებოდა ჭიდაობის მრავალფეროვან ილეთებს — სამწყემსურში და კალოზე, მინდორში და სოფლის საჭიდაოზე იხვეწებოდა სხვადასხვა ფანდები. პატარა ფალავნების მწვრთნელი თვით ხალხი იყო. ხალხი იყო შეჯიბრებათა მომწყობიც, „ჩოხების შემნახველიც“, მსაჯიცა და მაყურებელიც.

ქართული ჭიდაობა განსაკუთრებით პოპულარული იყო ჩვენი საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში: იმ დროს თბილისსა და მის შემოგარენში ხშირად იმართებოდა შეჯიბრებები, რომლებიც დიდძალ მაყურებელს იზიდავდა.

• • •

ამ წერილში ერთ ასეთ შეჯიბრებაზე გვინდა გიამბოთ:

1932 წელი, ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი... მიმდინარეობს საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. სარბიელზე იხმობენ ფინალური შეხვედრის მონაწილეებს მსუბუქ წონაში — კავთისხეველ ფალავანს ნიკოლოზ (პოხრო) პაპიაშვილს, ჭიდაობის გულშემატკივრებს „მგლად“ რომ მოუნათლავთ, და მის მეტოქეს, გურჯაანელ მიშა შაოშვილს — „შაოს“

ნიკოლოზ პაპიაშვილის სახელი ბავშვმაც კი იცოდა ოცდაათიანი წლების საქართველოში, მისი ნამქცევი ძნელად თუ მოიძებნებოდა მთელს ქართლ-კახეთში. იმ დღიდან, რომელზედაც ახლა გიამბობთ, 48 წლის შემდეგ სახელგანთქმული მოჭიდავე და მწვრთნელი ლავრენტი კაციაშვილი იტყვის: „პოხროს ბადალი მოჭიდავე არსად შემხვედრია, მისი ზეზელა კისრული ახლაც თვალწინ მიდგას. მისი მგლური მიხტომა, აფთრის სიფიცხე და ვეფხვის სისწრაფე ბევრ ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონსაც შეშურდებოდა. საკმარისი იყო ორი თითი ჩაევლო მეტოქისთვის ჩოხაში, რომ იმის საქმე წასულად ჩაგეთვალათ...“ პოხრო პაპიაშვილი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და ქართული ჭიდაობის ტრფიალთა უსაყვარლესი ფალავანი გახლდათ.

...არც შაოა უსახელო მოჭიდავე — პოხროსაც და დარბაზში თავშეყრილ უამრავ მაყურებელსაც კარგად ახსოვთ მისი ორი წლის წინანდელი ტრიუმფი: სწორედ მაშინ გახდა მიშა შაოშვილი საქართველოს ჩემპიონი მსუბუქ წონაში, მერე აბსოლუტურ წონით კატეგორიაშიც იასპარეზა და ფინალურ ბრძოლაში მასზე 20 კილოგრამით მძიმე ფალავანი პავლე კობაიძე დაამარცხა.

პოხრომაცა და შაომაც ფინალამდე დაუმარცხებლად მიაღწიეს, იმათ წონაში კი თხუთმეტმა მოჭიდავემ მოიყარა თავი. იმ დროს ჭიდაობა ექვს წონით კატეგორიაში ტარდებოდა: უმჩატესი (60 კგ-მდე), მჩატე (65 კგ-მდე), მსუბუქი (70 კგ-მდე), საშუალო (80 კგ-მდე), ქვემძიმე (90 კგ-მდე) და ბოლოს მძიმე (90 კგ-ს ზევით). შეჯიბრება წრიულად მიმდინარეობდა — თითოეულს თავისი წონის ყველა დანარჩენ ფალავანთან უნდა ეჭიდავა. გამარჯვებულს ეწერებოდა 1 ქულა, დამარცხებულს — 0. შერკინების ფრედ დამთავრების შემთხვევაში ძირითად 5 წუთს კიდევ 3 წუთი ემატებოდა, ხოლო თუ ისევ ვერც ერთი ვერ დაჯაბნიდა, ფალავნებს ნახევარნახევარი ქულა ეთვლებოდათ.

...და აი, ახლა პირისპირ დგანან, თვალით ზომავენ ერთმანეთს, თუმცა დიდი აზომ-ჩაზომვა რად უნდათ, ისედაც იციან ერთიმეორის აჩვალ-დასავალი. შაოს კარგად მოეხსენება პოხროს „მგლობა“, იმისი ზეზელა კისრულის ამბავი — ფრთხილად უნდა იყოს, თუმცა მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია? პოხრომაც კარგად იცის, რომ კისრულის საწინააღმდეგოდ შაოს შესანიშნავად აქვს დამუშავებული თავდაცვითი ფანდები. მაინც უნდა სცადოს, ერთი თუ დასტაცა ჩოხაში!..

მაყურებელი ხმაურობს. იქით კახელები აგულიანებენ შაოს, აქეთ ქართლელები — პოხროს; იქით ვანო გლდანელის „კრუგის“ ბიჭები ეჩურჩულებიან თავიანთ მეგობარს, აქეთ გიორგი ვერელის „კრუგი“ ქოთქოთებს.

ზურნის ხმაზე პოხრო მართლაც მგელივით მიუხტა შაოს, ჩოხაში ჩასტაცა ხელი და გაიტაცა. მრავლისმნახველმა მაყურებელმა კარგად იცის, რაც უნდა მოჰყვეს ამას — პოხრო ცდილობს წონასწორობა დააკარგვინოს მეტოქეს, მერე ელვის უსწრაფესად შებრუნდეს, გადაიქნიოს და... საკუთარ ინერციას აყოლილი მოჭიდავე ჰაერში აასხმარტალებს ფეხებს. გაინაბა მაყურებელი, შეიკუმშა, ასაფეთქებლად მოემზადა, მაგრამ შაო დროზე ხმარობს საგანგებოდ დამუშავებულ თავდაცვით ფანდს, მერე კი თავად გადადის შეტევაზე და ახლა უკვე პოხროს ბედი ჰკიდია ბეწვზე — შაოს მრისხანე შუაკაურს თუ ვერ გაუძლო, ერთი თუ გადაქანდა უკან, მერე ველარა უშველის რა, ბეჭებით დაეზღერთება მიწას...

უფრო იკუმშება მაყურებელი, იძაბება, საცაა დაიქუხებს კიდეც და ვაითუ ველარ გაუძლოს დარბაზის კედლებმა. თუმცა პოხრო აბა რისი პოხროა, ეგრე ადვილად რომ დათმოს გამარჯვება, აკი მშვენივრად იცოდა შაოს მზაკვრული ფანდის ამბავი და დახეთ, თვითონაც მზადა ჰქონია ნამგალა სარმა! შაომ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია მოულოდნელი ხელახალი შეტევა და სასწაულით გადაურჩა წაქცევას... სულ რამდენიმე წამში მოხდა ყველაფერი.

ცოტათი დაცხრნენ ფალავნები, უფრო დაკვირვებით შეათვალიერეს ერთმანეთი. „ბიჭოს?!“ — გაუელვა თვალებში პოხროს, შაომაც ღონივრად დაბღუჯა მეტოქის ჩოხა.

ცოტა ხანს იბღლაძუნეს. პოხრომ კიდევ სცადა რამდენიმე ილეთი, ზეზელა კისრულიც კი გაბედა, მაგრამ ამაოდ... და ახლა კახელმა წამოიწყო ფანდი, ის ფანდი, საგანგებოდ რომ ჰქონდა შემონახული ძლიერი მეტოქისთვის: მარჯვენა ხელი სწრაფად ჩასტაცა მარცხენა იღლიასთან ჩოხაში, თავისკენ დაჰქნია, მერე მიბრუნდა, მარცხენა ფეხი ლაჯებში გაუტარა და მარჯვენა ფეხის სადრეკში მოსდო. პოხრომ რაღაც ცუდი იგუმანა, ღონივრად გააბოჯღიჯგა ფეხები, მაგრამ იმან მაინც წაართვა, მაღლა ააწევინა და ახლა ორივენი ცალ-ცალ ფეხზე იდგნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შაო მარჯვენას ეყრდნობოდა, პოხრო — მარცხენას და თანაც კახელ ფალავანს მეტოქის მკლავიც საიმედოდ შეებოჭა (ამ ფანდს მკლავჩაკეტილი ამოსმული შუაკაური ჰქვია).

ამოსმამდე კი ჯერ შორს იყო — პოხრო არ შედრკა, გაიწია და მეტოქე ახლა ასკინკილათი გაიტაცა სარბიელზე. შაოც მიჰყვა. თითქმის ერთი წრე ეგრე შემოირბინეს.

მიშა შაოშვილის გულშემატკივრებმა კარგად იცოდნენ ამ ფანდის ძალა და აკიჟინდნენ:

— წასულია შენი საქმე, პოხრო!

— ველარსად წაუხვალ, ვერა!

ამასობაში შაომ უფრო მარჯვედ ამოსდო ფეხი, მეტოქის შებოჭილ მკლავსაც უფრო ღონივრად დააწვა და უცებ აიქნია. პოხრო გულაღმა გადატრიალდა და... ბეჭებზე დაეცა.

უცებ რაღაცამ იხუვლა, რაღაც გასკდა და მთელი დარბაზი შეზანზარდა. ვანო გლდანელის „კრუგის“ ბიჭები სარბიელზე გადაცვივდნენ, თავიანთ ამხანაგს ხელი დასტაცეს და მაღლა შეისროლეს. ხალხის ყიჟინამ დარბაზის კედლები გაარღვია და ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში გაიჭრა.

• • •

ამ თითქმის ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბის გახსენება ქართული ჭიდაობის ილეთთა მრავალფეროვნების საილუსტრაციოდ დაგვჭირდა. სისწრაფე, მოქნილობა, გონებამახვილობა, საოცარი, თავბრუდამხვევი ფანდები და, რაც მთავარია, კეთილშობილური, რაინდული სული— აი, ქართული ჭიდაობის ის შესანიშნავი თვისებები, რომელთა მეშვეობითაც დღემდე ცოცხლობს სპორტის ეს ეროვნული სახეობა. საქართველოს ბევრ სოფელში, კვირა-უქმე დღეებში, დღესაც იმართება ჭიდაობა, ისმის ზურნის ჭიჭყინი, დოლის ბაგა-ბუგი. ხალხს უყვარს ეს მიმზიდველი სანახაობა და არც ერთ შეჯიბრებას არ აკლდება. თუმცა ერთი კია: ამ ბოლო ხანებში ქართულმა ჭიდაობამ ერთგვარად დაკარგა ძველი ლაზათი, სილამაზე და სიმძაფრე. თანდათან დავიწყებას ეძლევა ილეთთა ის უმდიდრესი არსენალი, საუკუნეების მანძილზე რომ ივსებოდა და ყალიბდებოდა. დღევანდელი ფალავნები მთელი ასპარეზობის განმავლობაში სულ ორიოდ ფანდს თუ გამოიყენებენ, რაც აუფერულებს, უინტერესოს ხდის ჭიდაობას; ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ისიც გახლავთ, რომ საქართველოს ბევრ რაიონში ჯერაც საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სპორტის ეროვნულ სახეობებს. ამას გარდა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფიზიკური კულტურის პროგრამაში VII-X კლასებისათვის შარშანდლამდე შეტანილი იყო კლასიკური ჭიდაობის სწავლება, რაც საკმაო უხერხულობას უქმნიდა ფიზკულტურის მასწავლებელს.

ბოლო დროს ყინული დაიძრა: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითებით უკვე ბევრ სოფელში აშენდა მარტივი ტიპის საჭიდაო მოედანი, ხოლო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის დავალებით ძველმა ფალავნებმა, ქართული ჭიდაობის ოსტატებმა მიხეილ შაოშვილმა და არჩილ დურგლიშვილმა დაამუშავეს და აღწერეს ქართული ჭიდაობის 100 ფანდი. ეს ბროშურა სასწავლო-მეთოდურმა ცენტრმა სახელმძღვანელოს სახით მიაწოდა სოფლის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს. გასული სასწავლო წლიდან კი უკვე ნებადართულია სკოლებში ქართული ჭიდაობის სწავლება, რაც მისი აღორძინების დიდ იმედს იძლევა.

ბროშურა „ქართული ჭიდაობის ასი ფანდი“ უნაკლო როდია, მაგრამ მის ნაკლსა და ღირსებებზე ამ საქმის სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ, რათა ავტორებმა მეორე (უკვე დასურათებული) გამოცემისათვის გაითვალისწინონ მათი შენიშვნები და წინადადებები. ეს საერთო საქმეა და ყველამ ახლოს უნდა მიიტანოს გულთან.

ჩვენი ფალავნების დღევანდელი უფერული გამოსვლები, მრავალთა აზრით, იმითაც არის გამოწვეული, რომ ქართულმა ჭიდაობამ დაკარგა ძველი პოპულარობა, დაიკარგა ის ცეცხლი, ჟინი და შემართება, დიდ სპორტში ნახერხმოყრილი საჭიდაოდან რომ მოსდევდა ფალავანს.

იქნებ დადგა დრო უფრო ღრმად დავფიქრდეთ, იქნებ ღირს ამაზე ფიქრი?

ნუგზარ შატაიძე.

• • •

სურათზე: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში მ. შაოშვილი.

ჯ. კასრაძის ფოტო.

დინამოელები მიემგზავრებიან რუმინეთს

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები მიემგზავრებიან რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ბუქარესტსა და კონსტანცაში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში. მათ იქ ჩასატარებელი აქვთ 4 მატჩი.

დინამოელები რუმინეთში დაჰყოფენ 10-დან 22 ივლისამდე.

7 საუკეთესო მსაჯი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის წარდგინებით, დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 7 საუკეთესო მსაჯის სია, რომლებიც მოემსახურებიან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შეჯიბრებებს. ესენია: ე. აზიმ-ზადე, ვ. ბუტენკო, ა. მილჩენკო, მ. სტუპარი, ვ. ლიპატოვი, ე. შკლოვსკი, რ. იუშკა.

„სიჭაბუკის თასზე“

ლუნინეცი. აქ მიმდინარეობს „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო გათამაშება ფეხბურთში. II ტურში საქართველოს წარმომადგენლებმა მარცხი განიცადეს ბელორუსიელებთან შეხვედრაში — 0:1. მოსკოველებმა მოუგეს ტაჯიკეთის გუნდს — 1:0, ხოლო ლენინგრადისა და აზერბაიჯანის ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

III ტურში საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა ტაჯიკეთის გუნდი. სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: მოსკოვი — ლენინგრადი 2:0, ბელორუსია — აზერბაიჯანი 1:0.

ტურნირში წინ არიან ბელორუსიისა და მოსკოვის გუნდები — 6-6 ქულა. საქართველოს ფეხბურთელებს 4 ქულა აქვთ. მათ სათამაშო დარჩათ მოსკოვისა და აზერბაიჯანის გუნდებთან.

გრძელდება, აგრეთვე, ჭაბუკთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალური შეხვედრები.

ფრუნზეში საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა რსფსრ-ის გუნდი. **ჟოლტიე ვოდიში** ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს II გუნდი და თურქმენეთის ნაკრები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ქართველმა ჭაბუკებმა. **რუსთავში** თბილისის „ავაზამ“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა უკრაინის გუნდი.



ნაკრებთა ნაკრები

იტალიაში ახლახან გამართული ევროპის ჩემპიონატის წინ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ გამოსცა ბროშურა, სადაც ამ ქვეყნის ნაკრების თითოეულმა წევრმა დაასახელა ყველა დროის მსოფლიო ნაკრების შემადგენლობა. ხმათა უმრავლესობით ეს სიმბოლური გუნდი ასე გამოიყურება:

ბენქსი (ინგლისი), კალცი (გფრ), ბეკენბაუერი (გფრ), მური (ინგლისი), უილსონი (ინგლისი), კოგანი (ინგლისი), კრუიფი (ჰოლანდია), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), ბესტი (ჩრ. ირლანდია), კემპესი (არგენტინა), პელე (ბრაზილია).

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

„სპარტაკი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

სპარტაკელთაგან ბურთი გაიტანა ინასარიძემ, საპასუხო გოლი ეკუთვნის ბუთხუზს.

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ივერია“ (ხაშური) 3:1. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი).

ცხინვალელი ბაგაევის გოლი გაქვითა ლომსაძემ, მაგრამ შემდგომში გაზაევმა და არჩვაძემ კვლავ დააწინაურეს „სპარტაკი“.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:0. მსაჯი დ. განიძე (თბილისი).

ეს ერთადერთი ბურთი შეხვედრის დასაწყისშივე გაიტანა ჭითანავამ.

„სქური“ (წალენჯიხა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ძაძამიამ, ქვარაიამ, ბოჯგუამ, ხოლო „მაღაროელის“ მხრივ — სევასტოპულომ.

ასკ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 0:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

არმიელთა კარში ბურთი გაიტანა სულაბერიძემ.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:2. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

გამარჯვებულთაგან 3 ბურთი გაიტანა ხელაიამ, ერთი — მურვანიძემ, ხოლო სტუმართაგან — კაშიამ და ლაბაძემ.

„კოლხეთი“ (ხობი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

სტუმართა კარში ბურთი გაიტანა კაჭარავამ.

„ავიატორი“ (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 5:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

ამ უხვგოლიან მატჩში ანგარიში პირველ ტაიმში არ გახსნილა. შემდეგ თავი გამოიჩინა თბილისელმა ფრიდონიშვილმა (3 ბურთი), თითო გოლი გაიტანეს მანქანაშვილმა და ჯორჯიკაშვილმა. ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლო გუჯაბიძემ.

„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 2:0. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).

ორივე ბურთი გაიტანა ფრუიძემ.

„კახეთი“ (თელავი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

დაწინაურდნენ თელაველები (გერგიშვილი). საპასუხო გოლი გაიტანა ბაბუხადიამ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მზიური“	19	14	1	4	27—17	29
„სულ.“	20	10	7	3	34—23	27
„ენერგ.“	20	10	5	5	24—14	25
„მეშახ.“	19	9	6	4	37—19	24
„კოლხ.“	19	10	4	5	22—18	24
„იმერ.“	20	8	7	5	39—33	23
„ამირანი“	20	8	6	6	35—22	22
„მეტალ.“	20	8	6	6	28—28	22
„კახეთი“	20	6	9	5	32—26	21
„მერცხ.“	19	8	5	6	27—28	21
„მაღარ.“	20	6	8	6	24—24	20
„სქური“	20	8	4	8	33—35	20
„სალხ.“	20	6	6	8	36—43	18
„სპ.“ ცხ.	20	6	5	9	25—25	17
„ეგრისი“	20	6	5	9	23—29	17
„მადნ.“	20	6	5	9	28—39	17
ასკ თბ.	20	5	6	9	19—25	16
„სპ.“ თბ.	20	5	6	9	24—38	16
„ავიატ.“	20	4	7	9	30—31	15
„ქართლი“	20	6	2	12	27—33	14
„ივერია“	19	5	3	11	21—33	13
ფიზკ. ინს.	19	3	7	9	31—43	13

II ჯგუფი

I ზონა

„ფიჩხოვანი“ (ქვემო ალვანი) — „განახლება“ (ადიგენი) 1:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „განთიადი“ (კასპი) 2:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ავტომობილისტი“ (თბილისი) 1:2, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:0, „აბული“ (ახალქალაქი,) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:0, „ალგეთი“ (მარნეული) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 6:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 3:1, „იბერია“ (ქარელი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:2, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „თრიალეთი“ (წალკა) 3:1.

II ზონა

„კოლმეურნე“ (გულრიფში) — „ხვამლი“ (ცაგერი) 0:0, „რიწა“ (გუდაუთა) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 2:3, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:3, „დინამო“ (ქუთაისი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 2:1, „ხვამლი“ (ცაგერი) — „მეშაქრე“ (აგარა) 4:0, „სენაკი“ (ცხაკაია) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 2:0, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „განთიადი“ (აბაშა) 2:1, „მექალალდე“ (ზუგდიდი) — „ტეხურა“ (დიდი ჭყონი) 5:2.

საჯარიმო დარტყმა

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ბ. ხარაბაძე („სულორი“, ვანი) და ნ. მაგელატი („გარისი“, თეთრი წყარო).

მეორედ არიან გაფრთხილებულნი მ. ჯაფარიძე („მადნეული“, ბოლნისი) და ვ. არზიანი („იმერეთი“, წულუკიძე).

გაფრთხილებები მიიღეს მ. წერეთელმა („მაღაროელი“, ჭიათურა) და ს. ფრუიძემ („ენერგეტიკოსი“, თერჯოლა).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამართველო.

დღეს წილისყრა

ევროპული ტურნირები

დღეს ციურიხში გაიმართება ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების ახალი გათამაშების წილისყრა. წლეულს (ე. ი. 1980-81 წლების სეზონი) სამივე ტურნირში კონტინენტის 33 სახელმწიფოს 130 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ასპარეზობებში საბჭოთა კავშირის ღირსებას დაიცავენ: ევროპის ჩემპიონთა თასზე — მოსკოვის „სპარტაკი“, თასების მფლობელთა თასზე — თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ ფინალურ მატჩში გამარჯვებული, უეფა-ს თასზე — კიევისა და მოსკოვის დინამოელები და საბჭოთა კავშირის თასის ფინალში დამარცხებული, ე. ი. სულ 5 კლუბი. საგულისხმოა, რომ ასეთი წარმომადგენლობა ჩვენს ქვეყანას მხოლოდ 1974 წელს ჰქონდა.

გადავხედოთ, თუ ვინ იქნება ჩვენი კლუბების მეტოქეები ამა თუ იმ ტურნირში.

ევროპის ჩემპიონთა თასი. ეს ტურნირი, ერთადერთია, სადაც პირველი წილისყრის დროს ხდება წინასწარი განთესვა. რაში მდგომარეობს იგი? 32 მონაწილე გუნდიდან შეარჩევენ 16 უძლიერესს, რომლებიც პირველ ეტაპზე ერთმანეთს არ ხვდებიან. ამ ეგრეთ წოდებულ, „ელიტაში“ წლეულს შევიდნენ, პირველ რიგში, ჩემპიონთა თასის ახლანდელი და ადრინდელი მფლობელები — ინგლისის „ნოტინჰემ ფორესტი“ და „ლივერპული“, ჰოლანდიის „აიაქსი“, გფრ-ის „ბაიერნი“, ესპანეთის „რეალი“ (მადრიდი), იტალიის „ინტერნაციონალე“. ამათ გარდა, ჩემპიონთა თასის ხშირი მონაწილეები: ავსტრიის „აუსტრია“, იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა“, ბულგარეთის „ცსკა-სეპტემვრიისკო ზნამე“, ჩემპიონთა თასის 1978 წლის ფინალისტი ბელგიის „ბრიუგე“, აგრეთვე, უნგრეთის „ჰონვედი“, პორტუგალიის „სპორტინგი“, საფრანგეთის „ნანტი“, თურქეთის „ტრაბზონსპორი“, გდრ-ის „დინამო“ (ბერლინი), ჩეხოსლოვაკიის „ბანიკი“ (ოსტრავა). ჩემპიონთა თასზე წლეულს მათ გარდა გამოვლენ შოტლანდიის „აბერდინი“, რუმინეთის „უნივერსიტატია“ (კრაიოვა), პოლონეთის „შომბიერკი“ (ბიტომი), ლუქსემბურგის „ჟენესი“ (ეში), საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი) და სხვ. მოსკოვის „სპარტაკი“ განთესვის დროს მოხვდა აუტსაიდერთა რიცხვში, ვინაიდან 1972 წელს „სპარტაკი“ ჩემპიონთა თასის პირველივე წრეში დამარცხდა შვეიცარიის „ბაზელთან“.

თასების მფლობელთა თასზე არავითარი წინასწარი განთესვა არ ხდება და წილისყრაც ჩვეულებრივია. ამ ტურნირში შესაძლოა ითამაშოს თბილისის „დინამომ“. ახლანდელი ტურნირის შემადგენლობა არც ისე სუსტია: თასის მფლობელი — ესპანეთის „ვალენსია“, ინგლისის „ვესტ ჰემი“, პორტუგალიის „ბენფიკა“, გდრ-ის „კარლ ცაისი“, საფრანგეთის „მონაკო“, შოტლანდიის „სელტიკი“, ჰოლანდიის „ფეიენოორდი“, იტალიის „რომა“, ბელგიის „ვატერსხეი“, რუმინეთის „პოლიტექნიკა“, შვეციის „მალმიო“, ბულგარეთის „სლავია“, ჩეხოსლოვაკიის „სპარტა“, თურქეთის „ალთაი“, უელსის „ნიუპორტი“, შვეიცარიის „სიონი“, იუგოსლავიის „დინამო“ (ზაგრები), ავსტრიის „აუსტრია“ (ზალცბურგი), საბერძნეთის „კასტორია“ და სხვ.

უეფა-ს თასზე წლეულს, ალბათ, ისევ დასავლეთგერმანული კლუბების ჰეგემონია იქნება, ვინაიდან ამ ქვეყნიდან ითამაშებენ ისეთი ძლიერი კლუბები, როგორიც თასის ახლანდელი მფლობელი — ფრანკფურტის „აინტრახტი“, ჩემპიონთა თასის ფინალისტი „ჰამბურგერ შპორტფერაინი“, უეფა-ს თასის ნახევარფინალისტი „შტუტგარტი“ და „კაიზერსლაუტერნი“. ინგლისიდან მონაწილეობას მიიღებენ „მანჩესტერ იუნაიტედი“, „იფსვიჩ თაუნი“ და ლონდონის „არსენალი“. 4-4 გუნდი გამოჰყავს ჰოლანდიასა და ბელგიას, ესენი არიან: ჰოლანდია — „აზს-67“, „ალკმაარი“, „ეინდჰოვენი“ და „ტვენტე“, ბელგია — „სტანდარდი“, „რასინგ ვაიტ“ (მოლენბეკი), „ლოკერენი“ და „ლიერსი“. 3-3 გუნდით წარსდგება ესპანეთი („რეალი“ სან-სებასტიანი, „სპორტინგი“ ხიხონი და „ბარსელონა“), გდრ („დინამო“ დრეზდენი, „მაგდებურგი“ და „ფორვერტსი“ ოდერის ფრანკფურტი) და იუგოსლავია, „სარაევო“, „ნაპრედაკი“ (კრუშევაცი) და „ჰაიდუკი“. 2-2 კლუბი გამოვა შოტლანდიიდან („სენტ მირენი“ და „დანდი იუნაიტედი“), იტალიიდან („იუვენტუსი“ და „მილანი“), ჩეხოსლოვაკიიდან („ზბროიოვკა“ და „ბოჰემიანსი“), საფრანგეთიდან („სოშო“ და „სენტ-ეტიენი“), პორტუგალიიდან („პორტო“ და „ბოავისტა“), ბულგარეთიდან („ლევსკი-სპარტაკი“ და „ბეროე“), ავსტრიიდან („ვოესტი“ და „ლინცერ ასკ“), რუმინეთიდან („არჯეში“ და „სტიაუა“), პოლონეთიდან („ვიძევი“ და „სლასკი“), უნგრეთიდან („დოჟა“ და „ვაშაში“). დანარჩენი ქვეყნების (ნორვეგია, დანია, ფინეთი, კვიპროსი, თურქეთი, მალტა, ლუქსემბურგი, ისლანდია, ირლანდია და ჩრ. ირლანდია) გუნდები მუდამ აუტსაიდერებად ითვლებოდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უეფა-ს თასი საბჭოთა კლუბებისთვის ყველაზე ძნელი ტურნირია. თუ ჩვენი გუნდები ადრე ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისტები და თასების მფლობელთა თასის მფლობელნი იყვნენ, უეფა-ს თასზე მეოთხედფინალშიც კი არავინ გასულა.

ო. ხუბუტია.

ენების ცოდნისთვის

როდესაც ცნობილი დასავლეთგერმანელი მწვრთნელი ფეხბურთში ჰენეს ვაისვაილერი ნიუ-იორკის „კოსმოსში“ გადავიდა, მან ჯამაგირის მომატება მოითხოვა, რადგან თარჯიმანს არ საჭიროებს. იმის გამო, რომ ვაისვაილერმა „კოსმოსში“ მოთამაშეთა ყველა სასაუბრო ენა იცის, თარჯიმნები დაითხოვეს და მწვრთნელს მართლაც თანხა დაუმატეს. გუნდში ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ, ჰოლანდიურ და სერბულ-ხორვატულ ენებზე ლაპარაკობენ.

დაუმატეს ახალი პუნქტი

ბელფასტში გამართული ფიფა-ს დისციპლინარული კომისიის სხდომაზე ხაზი გაესვა ფეხბურთელის მინდვრიდან გაძევების ერთ-ერთ ახალ პუნქტს: მოწინააღმდეგისთვის შეფურთხებას მოსდევს გაძევება, ხოლო თუ ეს ამბავი საჯარიმო მოედანში მოხდა, მსაჯს შეუძლია დანიშნოს თერთმეტმეტრიანი.

კისტი საუკეთესოა

„აც ალკმაარისა“ და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი კეეს კისტი თავისი ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან 28 გატანილი გოლით მოიპოვა ეს ტიტული. მეორე ადგილზეა ისლანდიელი პეტერსონი („ფეიენოორდი“) — 23 გოლი.

ფინელები უცხოეთში

ფინეთის საუკეთესო ფეხბურთელებზე ბოლო ხანს დიდი მოთხოვნაა სხვადასხვა ქვეყანაში. ამჟამად 6 მოთამაშე გამოდის შვეციაში, 2-2 აშშ-სა და გფრში, თითო — ბელგიასა და ინგლისში.

კვლავ სკანდალი

საფეხბურთო სკანდალები კვლავ გრძელდება. შვეიცარიის II ლიგის კლუბმა „ფკ ვეტინგენმა“ იმის გამო, რომ III ლიგაში გადადიოდა, მის ერთ-ერთ უშუალო მოწინააღმდეგეს ქრთამის სახით 100.000 ფრანკი შესთავაზა. წინადადება მიღებული იქნა. გამოძიება, როგორც ჩანს, კარგა ხანს გასტანს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

პირველად...

ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში საკლუბო გუნდის კაპიტნად პირველად არჩეულია უცხოელი ფეხბურთელი. ეს არის 29 წლის პეტარ ბორატა, რომელიც ლონდონის „ჩელსის“ გუნდის კაპიტნის სამკლაურს გაიკეთებს.

მადრიდელები დააჯარიმეს

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომისიამ დიდი თანხით დააჯარიმა ამ ქვეყნის ჩემპიონი — მადრიდის „რეალი“, რომელმაც ეროვნული პირველობის მიწურულს სოლიდური ფულადი გასამრჯელო აღუთქვა „ბეტისს“ (სევილია), თუ იგი მოუგებდა სან-სებასტიანის „რეალს“ ან თუნდაც ფრედ დაასრულებდა შეხვედრას.

პარლამენტი გადაწყვეტს

კოლუმბიას, როგორც ვიცით, მიენიჭა ფეხბურთში 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება. იმის გამო, რომ მასპინძლები დიდი ფინანსური სიძნელეების წინაშე დგანან, მათ ჯერაც არ განუცხადებიათ საბოლოო თანხმობა. გამოცხადდა, რომ აქ გადაწყვეტილებას მიიღებენ სექტემბერში, პარლამენტის სპეციალურ სხდომაზე. პარლამენტში 309 დეპუტატია, მოელიან, რომ აქედან 250 მხარს დაუჭერს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას, მაგრამ ერთი პირობით — კოლუმბიაში 24 ფინალისტი კი არა, როგორც ეს 1982 წელს იქნება ესპანეთში, არამედ 16 უნდა იყოს.

ოლიმპიურ ტალღაზე

უნებლიე ინტერვიუ

ორიოდე დღის წინ, უფრო ზუსტად, გასულ კვირადღეს საკმაოდ უჩვეულო პირობებში შევხვდი თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა კაპიტანს ვლადიმერ ისელიძეს. იგი საბურთალოს საკოლმეურნეო ბაზრის დახლებს შორის ქართული ზაფხულის ხვავით დატვირთული ბადურებით მოემართებოდა ჩემსკენ, თან მეუღლე ელენე ახლდა. შორიდანვე გამიღიმა:

— ხედავთ, რა დღეში ვარ!— თითქოს დარცხვენით მითხრა.

— სწორია, ვოვა! ბაზარში ან ცოლი უნდა წამოიყვანო, ან ჩემსავით მისსავე შედგენილი სიით მოხვიდე-მეთქი, შევაშველე.

შემდეგ მისი მთავარი საქმეების შესახებ გამოვკითხე — ვიცოდი, რომ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი იყო.

— გადაწყდა! — გადაჭრით მიპასუხა ახლა უკვე ოლიმპიელმა, — გუნდში თორმეტნი შევარჩიეს და მზადების გადამწყვეტი ეტაპის წინ ორიოდე დღით სახლებში დაგვითხოვეს. ისეთი დაძაბული ტურნირის წინ, როგორიც ოლიმპიური თამაშებია, ასეთი განმუხტვა აუცილებელიცაა: შინაურებს მიხედავს კაცი, მოინახულებ მეგობრებს...

— მაინც რა შანსები აქვს თქვენს გუნდს? — ხელიდან არ ვუშვებ მომენტს.

— შანსებზე აბა რა მოგახსენოთ, ყოველ შემთხვევაში მონრეალი ამჯერად არ გამეორდება— იცინის ოლიმპიელი — იქ ხომ სსრ კავშირის გუნდმა ოლიმპიადებში მონაწილეობის მანძილზე ყველაზე დაბალი, მე-8 ადგილი დაიკავა. ამიტომაც, ამჯერად გუნდში მოსახვედრად ერთობ მკაცრი კონკურენცია და შერჩევა მიმდინარეობდა. განსაკუთრებით მთელი ძალების დაძაბვით წარიმართა ბოლო ოფიციალური თუ ამხანაგური შეხვედრები. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიის ქალაქ ბოლიასკოში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირს, სადაც სსრ კავშირის ნაკრებმა თვით „ოლიმპიადა-76“-ის გამარჯვებული მასპინძელთა გუნდიც კი დაჯაბნა და პირველობა გაინაღდა. სპეციალისტთა აზრით, ჩვენი ნაკრები ცუდად არ მომზადებულა ოლიმპიური ტურნირისათვის, დანარჩენს თვით მოსკოვის სტარტები დაგვანახებს, რომელშიც 20 ივლისს დილის 11 საათზე ჩავებმებით...

ქართველ ოლიმპიელს გზა მშვიდობისა და შინ ოქროთი დაბრუნება ვუსურვე, რაზეც ვლადიმერმა და ელენემ ერთხმად მადლობა გადამიხადეს...

უ. ჟიჟინაძე.

მსოფლიო რეკორდზე უკეთ

კრილატსკოეს დახურულ ტრეკზე გუშინ გვიან დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში. ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა (ვ. მანაკოვი, ა. კრასნოვი, ო. კლენიკოვი და ა. კულაკოვი) საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო შესანიშნავი შედეგით — 4.20,41, რაც ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე უკეთესია. მაგრამ იგი რეკორდად არ დამტკიცდება, ვინაიდან ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის წესებით რეკორდად ჩაითვლება მხოლოდ ის დრო, რომელსაც გუნდი მარტო ასპარეზობისას აჩვენებს. ამ კვარტეტმა ნახევარფინალში შედეგი კიდევ უფრო გააუმჯობესა — 4.19,29.

მსოფლიო რეკორდს გადაამეტა საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმაც — ნახევარფინალში ლენინგრადელმა ვ. ოსოკინმა, ტულელმა ვ. პეტრაკოვმა, ხარკოველმა ვ. მოვჩანმა და რიგელმა დ. ლეიპინშმა — 4.19,95 აჩვენეს. გუშინ ფინალი გაარკვევდა, რომელი გუნდია უძლიერესი — ლენინგრადელი სტუდენტებისა თუ ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრები.

ამ სახეობაში ინდივიდუალური შეჯიბრებისა და სპრინტერთა პირველობის შედეგებზე უკვე ვიტყობინებოდით. ახლა დავუმატებთ, რომ ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით ასპარეზობაში თბილისელი პ. ჩევარდოვი VI ადგილზე გავიდა — 4.47,38, ხოლო სპრინტში მეორე თბილისელმა გ. დვალიშვილმა III ადგილისთვის ბრძოლა ა. დოცენკოსთან წააგო და IV ადგილს დასჯერდა. როგორც ჩანს, დვალიშვილმა მთელი ძალები დახარჯა ს. ქურავლიოვთან ნახევარფინალურ ბრძოლაში, რომელიც ერთობ დაძაბული და უშედავათო გამოდგა.

პირველი ჯგუფი 11 ივლისს

ბელგიელი სპორტსმენები ამთავრებენ მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას. ამ ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში 60-ზე მეტი წევრია. პირველი ჯგუფი მოსკოვს 11 ივლისს ჩამოვა, ხოლო მეორე ჯგუფი — ერთი კვირის შემდეგ. ცოტა გვიან ოლიმპიადას ესტუმრება კიდევ სამი მარათონელი.

ივნისი ყველგან აქტიური მზადების თვე იყო ამ ქვეყნის სპორტსმენებისთვის. სწორედ ივნისმა დაასახელა ნაკრების კიდევ ერთი წევრი, რომელიც ივნისის საუკეთესო სპორტსმენადაც იქნა აღიარებული ბელგიაში. ესაა 400 მეტრზე მორბენალი ა. ბრიდენბახი, რომელმაც ბოლო შეჯიბრებაში წლევანდელ სეზონში მსოფლიოს მეორე შედეგი (45,19) აჩვენა.

თავსხმაში

საგზატკეცილო ველორბოლაში საკავშირო თასის გათამაშების მეორე დღეს 116 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში ასპარეზობის მონაწილეებს ბედი იშვიათად არ წყალობდათ: კრილატსკოეს ტრასაზე კოკისპირულად წვიმდა. ამ პირობებში ყველაზე სწრაფად იარა კუიბიშეველმა ი. მიშჩენკომ — 3:04.47. გორკელმა ი. ბარინოვმა და ლ. დეჟიცმა (მინსკი) ერთნაირი შედეგი — 3:05.21 აჩვენეს, მაგრამ ფოტოფინიშმა უპირატესობა ბარინოვს მიანიჭა. მძიმე მეტეოროლოგიური პირობები იყო მიზეზი იმისა, რომ 58 სპორტსმენიდან ფინიშამდე 16-მა მიაღწია.

ხელბურთელები ძალებს ამოწმებენ

ბურგასში (ბულგარეთი) დასრულდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა ნაკრებმა ფინალის ბოლო მატჩში მასპინძელთა გუნდი დაამარცხა — 15:10 და პირველობა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბულგარეთის, რუმინეთის, გფრ-ის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, პოლონეთისა და ბულგარეთის ახალგაზრდული კოლექტივები.

• • •

მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა საბჭოთა ვაჟების ნაკრებმა ვარშავაში სამი მატჩი გამართა პოლონელ სპორტსმენებთან. მან ჯერ გაიმარჯვა — 24:22 და 15:14, ხოლო მესამე შეხვედრაში დამარცხდა — 18:19.

• • •

ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირმა „იუგოსლავიის თასზე“ წარმატება მოუტანა მასპინძლებს, რომლებმაც ყველა ხუთივე შეხვედრა მოიგეს. II და III ადგილებზე გავიდნენ იუგოსლავიის ახალგაზრდული და ესპანეთის კოლექტივები.

ოლიმპიურ ტალღაზე

● რეგბი

„არდადეგები“ დაიწყო

უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრების მესამე ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მონინო) — „ფილი“ (მოსკოვი) — 12:6, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სლავა“ (მოსკოვი) — 12:6, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ავიატორი“ (კიევი) — 6:0. ეს შეხვედრა კიევში გაიმართა. ამ გამარჯვებით თბილისელებმა რევანში აიღეს „ავიატორთან“ ერთი კვირით ადრე შინ დამარცხებისთვის.

ოქროს მედლებისთვის მებრძოლი გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: გაგარინელებს ქულათა მაქსიმუმი — 24 აქვთ. შემდეგ მოდიან: შარშანდელი ჩემპიონი „სლავა“ —19, მოსკოვის „ლოკომოტივი“ —16, „ფილი“ — 13, სსრ კავშირის თასის შარშანდელი მფლობელი — „ავიატორი“ და თბილისის „ლოკომოტივი“ — 12-12.

ჩემპიონატზე დაიწყო თვენახევრიანი შესვენება. ამ ხნის მანძილზე ქვეყნის ნაკრები გუნდი მოემზადება გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ ტრადიციული პრიზის გათამაშებისთვის.

გრძელდება ტურნირი „ბ“ ფინალში, ე. ი. ასპარეზობა იმ გუნდებისთვის, რომლებიც გაისად უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლებისთვის იბრძვიან. გაგაცნობთ გასული კვირის იმ მატჩების შედეგებს, რომლებიც „ლელოში“ არ გამოქვეყნებულა: „პოლიტეხნიკი“ (კრასნოიარსკი) — „პოლიტეხნიკი“ (კიევი) — 18:6, „პოლიტეხნიკი“ (ალმა-ათა) — „სოკოლი“ (ლვოვი) — 41:25. ამ ჯგუფში, სადაც რვა გუნდი თამაშობს, წინ არიან ქუთაისის „სახლმშენის“ რეგბისტები. მათ 9 ქულა აქვთ.



● ჭადრაკი

კვლავ ნახევარი ქულა

ამსტერდამში მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში „ვარსკვლავთა“ ჯგუფში მეცხრე ტურის შემდეგ ნახევარქულიანი სხვაობა ძალაში დარჩა მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვსა და ჰოლანდიელ ი. ტიმანს შორის. ამ ტურში მათ ერთმანეთში ყაიმით დაამთავრეს შეხვედრა. ახლა კარპოვს 6 ქულა აქვს, ხოლო ტიმანს — 5,5. შეჯიბრების მეორე საბჭოთა მონაწილემ ს. დოლმატოვმა ყაიმით დაამთავრა პარტია ჰოლანდიელ ვან დერ ვილთან და 4,5 ქულა აქვს. ამავე ტურში დანიელმა ბ. ლარსენმა ძლია უნგრელ ზ. რიბლის. წინ კიდევ 5 ტურია.

● ფრენბურთი

თასი — არმიელებს

ვოლგოგრადში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშება. ცსკა-მ გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა ვილნიუსის „კუროაპარატურა“ — 3:0 და საპატიო თასის მფლობელი გახდა.

● ხელბურთი

სამზადისი თასისთვის

საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდი შემოდგომაზე ჩაებმება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის სათანადოდ მომზადების მიზნით ბურევესტნიკელები პოლონეთს გაემგზავრნენ, სადაც გამოვლენ საერთაშორისო ტურნირში.

გუნდს კვლავინდებურად საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები გ. მაჭავარიანი და ა. ლელაშვილი ხელმძღვანელობენ. „ბურევესტნიკი“ პოლონეთში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ლ. აბესაძე, გ. და ვ. ბერიაშვილები, დ. ბარამიძე, ო. დვალიძე, დ. დვალიშვილი, ზ. დოლიძე, ზ. კეკელიძე, ა. კომახიძე, გ. ნარიმანიძე, გ. ჩიბირაშვილი და ა. ნავროზაშვილი.

როგორც ხედავთ, გუნდში არ არიან ა. ანპილოგოვი და ა. ტაბიძე, რომლებიც მოსკოვის ოლიმპიადაზე საასპარეზოდ ემზადებიან.

თ. ქ. პატარიძე

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 50 წლისა გარდაიცვალა სკკპ წევრი 1961 წლიდან, 1950-1953 წლების საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი, ინჟინერ-ტექნოლოგი თენგიზ (ბიჭი) ქსენოფონტეს ძე პატარიძე.

სპორტულ ტანვარჯიშს იგი ცნობილი ქართველი პედაგოგისა და მწვრთნელის გ. ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით ეზიარა. შემდეგ წვრთნა გააგრძელა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტულ სექციაში. ამ პერიოდში იყო საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში თ. პატარიძემ მოიპოვა „ნაუკას“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება. მომდევნო წლებში იყო „უროჟაის“ ცენტრალური საბჭოს სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი.

სარბიელიდან წასვლის შემდეგ მას არ გაუწყვეტია სპორტთან კავშირი — მდიდარ გამოცდილებას ხალისით უზიარებდა სტუდენტ ახალგაზრდობას.

გულისხმიერი ადამიანის, სპორტის დიდი ენთუზიასტის თენგიზ პატარიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მეგობრებსა და ახლობლებს შორის.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრა.

ამხანაგების ჯგუფი.

● ჩოგბურთი

პანატა — პირველი

ფლორენციაში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდა ორი ცნობილი ოსტატი პანატა (იტალია) და რამირესი (მექსიკა). ანგარიშით 6:4, 6:3 გაიმარჯვა იტალიელმა.

როზუელის გამარჯვება

ავსტრალიელმა როზუელმა, რომელიც თავის დროზე მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელი იყო, გაიმარჯვა ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირზე ნიუპორტში — ფინალში ანგარიშით 6:3, 6:3 სძლია თავის თანამემამულე სტოლეს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ქარელის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დარბაზი

ქართული ჭიდაობა

„კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს სამატჩო შეჯიბრება მიძღვნილი XXII ოლიმპიური თამაშებისადმი

მონაწილეობენ:

12 ივლისს

ქარელის, ლენტეხის, ლაგოდეხისა და ბოლნისის რაიონების ნაკრები გუნდები

13 ივლისს

დუშეთის, სამტრედიის, ყვარლისა და ახალციხის რაიონების ნაკრები კოლექტივები.

დასაწყისი 15 ს.

სპორტულები

— ბავშვე[illegible] [illegible]ამისახელეთ სპარტაკის თა[illegible]ძოლები! — დასაე[illegible] [illegible]ოხინი, მირზოიანი, რომან[illegible], შავლო...

* * *

მოკრივე: — ღმერთო, გამახსენე, სად ვიყავი წუხელის?

ცოლი: — სად და, ნოკაუტში.

* * *

— სად ისწავლე ჭადრაკის თამაში?

— სამსახურში.

* * *

— კოკორი ბებიას გაექცა, ბაბუას გაექცა, მერე დათვს, მგელს... აბა თუ მეტყვი შვილო, ვის ვერ გაექცა?

— შოთა ხინჩაგაშვილს.

* * *

— პანაშვიდზე იყავი?

—არა, სტადიონიდან მოვდივარ.

* * *

— სად არის ალპინიზმის სასახლე?

— ჭადრაკის სასახლეში.

— ჭადრაკის სასახლე?

— ალპინიზმის სასახლეში.

* * *

— ბურთის ტარება იცი?

— ტარება ვიცი, დარტყმა — არა.

— საკმარისია, მიღებული ხართ გუნდში.

გურანდა კასრაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 10189